სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/25

ქ. თბილისი 11 მარტი 2024 წ.

სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის №4 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 06 მარტის MES 7 24 0000277857 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

2. სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელობისათვის საათობრივი ანაზღაურება განესაზღვროს თვეში 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობისათვის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის №01-05-04/119 დადგენილება.

4. დადგენილება გავრცელდეს 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

5. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე